არსენ ივალონელი, დამაარსებელი და პროფესიონალი ქართულის აკადემიისა, ზედმიწევნით მცოდნე ლოლიკისა, მეტაფიზიკისა, ფიზიკისა, ანატომიისა, რეოლიკისა და პიტოკისა; მებრძოლი სოშებთან და ინიციატირი რუსურნისის კრებისა; კაცი იშვიათის ენერგიისა და მეტყველებისა, რომლის შესახებ ანტონ ქათალ. ამბობს: „ფრაზები არსენისა ბრწყინვანენ, ისინა მშეგნიდვნი არან; მისი დარღვევა გრძელებული და დამატებული არან. დავით ალმაშ და მისი გრძოლი, გვ. 9, 96; „წყ. სიტ.“, 260—262).

გიორგი ჭეონდადელი, შესანიშნავი ოს-ტატი, მამამუხე, დამწერი „აღაპისა“: კაცი სწავლული და ბრძენი, დამაარსებელი სამეცნიეროში უმაღლესის სკოლისა, განმანათლებელი აფხაზეთისა და სვანეთისა (იხ. „ქართ. ცხოვ.“, I, 247; ხახანაშვილი, ვიპ. 6. II, გვ. 317).

ანტონ ჭეონდადელი, თამარ მეფის თანა-

მედროვე, კაცი სწავლული, მწიგნობარი, რომელმაც დასწერა შესანიშნავი თხზულება: „წესი და მოწყობა ლაშქარისა“ („ქარ. ცხ.“, I, 245; აღწერა შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 23).

თამარ ჰეტრიში, პირველი სწავლული და პირველი ფილოსოფოსი თამარის და დავითის ეპოქისა, „ქეშმარიტი ფილოსოფოსი“, რომელმაც შეითვისა ყველა დარგი ცოდნისა და მეცნიერებისა, განმამჟვენიერებელი ქართულის ენისა, დამწერი საუცხოვო ლექსიტისა; მან დაწერა და გადათარგმნა: „ნემდესიოსის“, გადათარგმნა „ტოპიკები“ და „პერი არმენია“ არისტოტელისა; შეადგინა ქართულ წიგნების კატალოგი (იხ. პლ. მარტი, რუსული „საეკუსტყებები“, 1906 წ. გვ. 197; პლ. ოსელიანი, გვ. 79).

ამ მცირე ცნობებიდგნაც სჩანს, თუ რას წარმოადგენდა ოქროს ხანის ქართული მწერლობა და თუ რამდენ ნიკერნი და გენიონი პირნი ემსახურებოდნენ მისს აღზრდა-განვითარებას. რასაკვირველია, ისტორიული პირობები დიდად ხელს უწყობდნენ ქართულ მწერლობის ასეთს აყვავებას და გაძლიერებას:

დიდი თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ, სამწუხაობოდ, ეს სასარგებლო პირობები ძირიანად შეიცვალნენ და საქართველოც მაღალ დაუძლებულდა, დაკინდა, გაღატაკდა.

ამას მოჰყვა ქართულ მწერლობის დაუძლებება-დაცემაც. იქ. გართაგავა

წერილები შეგობართან

ქათველ მუსულმანების შესახებ.

ძეირფასო შეგობართ!

თამარ დედოფლის დღისთვის არ შემი-ლია ცოტა-ცენი რამე არ მოგწერო იმის შესახებ, თუ ჩვენი მოძმე ქართველ-მუსულ-მანები რა ლრება პატივისცემის გრძნობით არიან მისდამი გამსჭვალულნი. თამარ დედო-ფალი ის ადამიანია, რომელიც მათს გულს ქართველ ქრისტიანების გულთან აერთებდა და აკავშირებდა იმ დროს, როდესაც ისინი უამთა ბრუნვის მეოხებით ჩვენგან დაშორე-

ბულნი იყვნენ... თამარი თითქმის ერთად ერთი სახელია, რომელიც შერჩათ ქართველ-მუსულმანებს თვის ღიღებულ წარსულის მოსაგონებლად, ის სახელია, რომელიც სამასიწლის განმავლობაში მნენ დარაჯად უდგა მათ შორის ქართულ ენას, ქართულ კერძის, ქართულ ეროვნულ გრძნობას, და თუ ეს სამივე კადევ მოიპოვებოდა მათ შორის, ამას უნდა ფუმალლოდეთ უმთავრესად იმ მომხიბლავ გავლენას, რომელიც თამარს აქვს შათზე.

თამარ დედოფალს მეტად უყვარდა ქაბულეთი, აჭარა, შავშეთი, ლივანა და ჭანეთი... აქ ხშირად დაბრძანდებოდა და სცხოვრობდა იგი... ეს ქართველ მუსულმანებმა გარდა მოკემით იციან. უმე თამარის კაცი ვარ“, — მოულოდნელად მითხრა ერთმა ქართველ მუსულმანა, როდესაც ვკითხე, თუ ვანაა იგი... ამ სიტყვებში მთელი წარსულის გამოძახალია ჩაქსოვილი... თამარის ხსოვნა თითოეულს ქართველ მუსულმანს გულის სიღმეში აქვს აღბეჭდილი, როგორც წინდი მის გვარ-ტომობისა, მისი სისხლ-ხილცისა.

რასაც ქართველი მუსულმანი თვის გარშემო ხედავს, ყველაფერს თამარს მიაწერს: იქნება ძევლი დაბაზი, ციხე, ტაძარი თუ სხვა რამე... თამარი იყო ის მეფე, რომელმაც მთელ საქართველოში სწავლა-განათლება და მთლად კულტურა უმაღლეს წერტილამდის აღიყვანა...

— თქვენი ენა, — მითხრა ქართველ მუსულმანი — გურჯულია. ჩეგინ ენაც გურჯულია. ამ ენაზე საუბრობდა დიდი თამარი. ეს ენა არ შეგვდება!

„და გურჯული ენა არის
ჩეგინ დაიძლი დედა ენა...
ამ ენაზე საუბრობდა
დიდი თამარ დედოფალი:
ამ ენას არ დაიძარებს
ჩეგინ ქედა მომავალია.
(მოთხოვიდამ „ულენ“)

მეტად უხარისა, როდესაც ქართველ მუსულმანი ან თვით გესაუბრება და ან მოგისმენს საუბარს თამარის შესახებ.

— ბათომის ახლოს რომ თამარის ციხეა, — მეუბნებოდა ერთი ქართველი მაჰმადია-

ნი: იმ სულკურთხეულს მაშინ აუშენებია, როდესაც ტრაბიქონიდამ დაბრუნებულა თავის ჯარით. ამ ჯარში ჩვენებური ბიქებიც ყოფილან ბლომად. თამარს იქ თავისი ნათესავი გაუმეფებია, დაბრუნებისას ჯარი დაუსვენებია ბათომის ახლოს. წვიმიანი ამინდი ყოფილა. ჯარის კაცებს ფეხსაცმელიდამ ტალახის მოშორება დაუწყვიათ... ამის მეოხებით გორაკი აღმართულა. ამ გორაკზე ციხე აუშენებია. უყვარდა აქ ცხოვრება...“

თამარის ციხის გვერდით ჩამოდის მდინარე, რომელსაც ყორროლის თავის წყალს ეძახიან. ერთი ჩემი თანამესაუბრე ქართველი მუსულმანი მეუბნებოდა: „ეფენდი! ამ მდინარის სახელი ძველად თამარის წევალი ყოფილა. რათ გამოუცვალეს სახელი?!..“

ყორროლის თავიც თამარის სოფელია!. მართლაც, ეს სოფელი სამოთხის მსგავსია, და მთელი ბათომის მიღმოვების თვალია... აქა დღეს გამართული ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ სკოლა, რომლის შეთაურებად არიან ორი ქართველი ქალი, — მშობლიურ ერის მიმართ სიყვარულის ჩაგონებით ჭრთვიდამ აქ გაღმოტყორუნილი: ეჭვნე ციქურშეიან და ბეჭო გეფაშეიან, რომელთაც დაიმსახურეს თამარის სოფლის მცხოვრებად თანაგრძნობა...

ჩეგნ გვჯერა, რომ სიმართლე ბოლოს გაიმარჯვებს... ბეჭლი ძალები ვერას განდებიან, და თამარის კაცები, როგორც ეძახიან ქართველი მუსულმანები თავის თავს, თავის დედა საქართველოს დაუბრუნდებიან და სწავლა-განათლების ფეხსულში ჩაებმიან... საღი გონების მეოხებით ისინი მიხვდებიან, რომ მხოლოდ მათი მოსისხლე მტრები, ავრცელებენ განძრას ხმას, რომ ქართველ ქრისტინებს ქართველ მაჰმადიანებში ქრისტიანობის გავრცელება სურთო... მრავალრიცხოვან შეგნებულ ქართველთა მაგივრათ და ჩემის მხრითაც ვფიცავ უკვდავ ხსოვნას და სხივსან სახელს თამარ დედოფლისას, რომელიც ესდენ სანუკვარია ორივე სჯულის ქართველთათვის, რომ ჩეგნ, ქართველ ქრისტიანებს, არავითარი ხელი არ გვაქს მაჰმადის სჯულთან და მისი პატივის მცემელი ვართ. ვალიარებთ სჯულის

თავისუფლებას: დ ე ქართველმა მუსულმანებ-
შა თავის სჯულის წესები მტკიცედ შეასრუ-
ლონ... ეს ვერ შეუშლის ხელს მ.თს ერთო-
ბას ჩვენთან! ჩვენ ჩვენი ჯული და მათ მათი
სჯული...

დღეს ჭეშმარიტად ხარის თამარ დედო-
ფლის უკვდავი სული, როდესაც ხ.დავს, რომ
მისი საყვარელი ხალხი, მისთვის თავგაწირულ
აქარელ ქართველების შორეული ჩამომავალ-
ნი, დღევანდელი ქართველი მუსულმანები ხალი
ჭკუს ჩაგონებათ უბრუნდებიან თავის საერ-
თო სამშობლოს, —საქართველოს, სწავლიაბენ
გურჯულ წიგნს, სძებნიან თავის კურთხეულ
კერას, ძმური საღმით ეგებებიან კეთილ გან-
ზრახვით მათთან მისულ ქრისტიან ქართვე-
ლებს და მათთან ერთად ებმიან საერთო ცხო-
ვების მძიმე ულელში...

შორის, ნნ ლო ძალებო, თქვენ ვდღარ
შეაჩერებთ გაღვიძებულ ქას თვის ბეჭინიერე-
ბის ძიებაში... თქვენი ყორანისებური ჩხავი-
ლი გულს ვერ შეუძრწუნებს თამარის ქაცებს:
ისნი უკ.ნ აღარ დაიხევენ... იქ სიკვდილია,
წინ კი სიცოცხლე...

შენი შეგაბარი თ თეზის თელი

თამარ მეფე და დიდუბე

ახლანდელი ქ. თბილისის ნაწილი დიდუ-
ბე ძველად ყოფილა პატარა, მაგრამ საყურა-
დებო სოფელი, „სანაებესა თბილისასა“,
არამც თუ ძველს დროს, მეცხრამეტე საუკუ-
ნის ნახევრამდისაც. ცორონ ცოვის დროს დი-
დუბელები გადას ხლებულან ჩულურეთში და
დიდუბის მეტი წილი დარჩენია სომებს ამა-
ტუნის. მერე ქალაქი რომ გაიზარდა, დიდუ-
ბესაც მიეცა ფასი, როგორც ქალაქის ნაწილს.

ძველი სოფელი დიდუბე რომ მნიშვნე-
ლოვანი ადგილი ყოფილი ძველადვე, ამას
გვიმტკიცებს რამდენიმე ისტორიული გადმო-
ცემაც და ეს გაღმოცემანი შეეხება უმთავრე-
სად თამარ მეფეს, რაც ერთი ასად ადიდებს
მნიშვნელობას ჩვენს ცხოვრებაში. ის ის რამ-
დენიმე გადმოცემაც.

პარველი შეეხება თამარ მეფის ქორწი-
ნებას.

როდესაც გადაწყდა თამარ მეფის მეულ-
ებ დავით სოსლანი მოეწვიათ „მაშინ... წარ-
გიდეს დიდებული ამერიკა და იმერნი: და წარ-
მოიყენეს დედოფლი (რუსული) და გაზრდი-
ლი მისი, რჩეული დევისა, დავით და შოთა-
რეს სრასა დიდუბისას, სანახებსა ტულისსა,
და შენ ქმნეს ქარწილი შესატევისა და შემსგავ-
სებული სედაწიფლისა და შარვანდედისა მა-
თისა“...

როგორც თამარის ისტორიულის ამ სი-
ტყვებიდან ცხადად სჩანს, თამარ მეფეს დი-
დუბეში სრა-სასახლეც ჰქონია, მაშასდამე ჯერ
ჯვარი დაიწერა დიდუბის ეკლესიში და შემ-
დეგ დიდუბისავე სრა-სასახლეში გადიხადა დი-
დუბელი ნაღიმი „შემსგავსებული ხემწიფებისა
მათისაა“.

ესვე ცნობა ი. დავითაშვილს გამოთქ-
მული აქვს შემდეგ ლექსში:

საქართველოს დედოფალი,
დედა ქართლისა, თამარი,
სიმშვენიერით მოსილი,
ამომავალი მზის დარი,
დავა სოსლანის შეულლე,
რომელს უმშვენა მან მხარი,
დიდუბეში იქორწინა,
სადაც რომ საყდარი არი,
ნადიმობა გაუმართა,
მოიწვია თავის ჯარი;
ის სული ცხვარი დაჲკლა
და ორასი ნიშა ხარი;
ლურჯი სუფრა გაუშალა,
თითქმის იყო ასი მხარი;
ქვრივ-ობლებსა უწყალობა
ოქრო, ვერცხლი დიდი ძალი.
სიბრძნით, სიუხვით ქებული,
დილის ცისქარი, სად არი?
ის მნათობი ქვეყნიერი
მკედაროც ვერ ვპოვეთ, სად არი!

მეორე გადმოცემა: ერთ-ერთი დიდი გა-
ლაშერების წინ თურქების წინააღმდეგ მთე-
ლი საქართველოს ჯარი შეიკრიბა დიდუბის
მინდობრზე; ჯარს ძლიერ იტევდა ეს გადაჭი-
მული ტრიალი მინდობრი, დარაზმულს ჯარს
ზიმზიმი გაჲქონდა. მობრძანდა თამარ მეფე
ჯარის სანახავად, დათვალიერა, მოიწონა, მე-

რე ჯვრით დალოცა და საქართველოს სამხედრო დროშა ამინაპასალარს მხარგრძელს გადაცაო, ამბობს გაღმოცემა.

ამ ამბავს მგოსანი გრ. ორბელიანი ისე გვისურათებს:

„თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს

ლაშქარი...

თამარი ლოცავს ჯვარითა, ჯარს ამხენეს გულის უხვებით“...

სჩანს, დიდუბე, საზოგადოდ ჯარის შესაქრებელიც იყო, როცა ან აღლუები იყო ჯარისა, ან გასალაშქრებლად მოიყრიდა თავს წასვლის წინ.

ზემოხსენებული გაღმოცემიც ხომ მკაფიოდ ადასტურებს, რომ თამარს სრია-სასახლე ჰქონდა ქალაქს გარეთ, დიდუბეში და ცხადია, სწორედ აქ უნდა ყოფილიყო თავ-მოსაყრელი ჯარისა, როგორც უფრო მოსახერხებული ადგილი, ჯერ იმით, რომ სატახტო ქალაქზედ აღლო იყა; მერე დიდი ტრიალი მინდორიც ხელს უწყობდა ამასვე და, მესამე, სასახლეც აქვე ჰქონდა მეფე ქალს.

მესამე გაღმოცემა გვეუპნება თვით ეკლესის შესახებ, უფრო კი იმ ძევლის ძევლი სასწაულთმოქმედი ღვთისმშობლის ხატის შესახებ, რომელიც დღესაც დიდუბის ეკლესიაში ასვენია.

ეს ღვთისმშობლის ხატი უპოვათ თამარ მეფის დროს და დიდუბეშივე ღაუსვენებიათ მაშინდელს ტაძარში; თითონ თამარ მეფე დიდი პატივის და თაყვანისმცემელი იყო ამ ხატისათ.

მას შემდეგ ამ ხატს თაყვანისმცემელი მოსდის არაუც თუ თბილისიდან, არამედ მთელი საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან და არა მარტო მართლმადიდებელნი ქართველნი, არამედ სხვა წესის ქრისტიანებიც მრავლად.

ამ გვარად, დიდუბე არის დაკავშირებული დიდებულ მეფის, წმინდა თამარის სახელთან, და ეს დაკავშირება არ არის შემთხვევითი და უბრალო, არამედ საბუთიანი და ისტორიულად სარწმუნო.

ამიტომ ყველა ქართველს შპარტებს ამ ადგილის პატივისცემით ხსენება და მასთან

დაკავშირებულს საეკლესიო კითხვის ყურადღებით მოპყრობა.

დიდუბის ეკლესის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ შემდეგ ში მოვილაპარაკოთ.

დ. ნახუცრიშვილი

თამარ მეფე მგოსნების დახასიათებით

ითანა შავთელი (XII საუკ. მწერალი):

შემოკრბით, ბრძენნო, ათინელთ ძენო, თამარს ვაჭებდეთ მეფედ ცხებულსა, კრიტს, ალაბს, მალრიბს, ეგვიპტეს, მაშრიყს, ჩინეთ ჩინეთსა თარშის ქებულსა!..

ჩახრუხაძე (XII საუკ. მწერალი)

თამარ წყნარი შესაწყნარი,
ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე მცინარი საჩინარი,
წყალი მქნარი მომდინარი,
მისთვის ქნარი, რა არს ქნარი,
არსით მთქნარი უჩინარი,
ვარდ-შამბანარი შამბ-მალნარი,
ლაწე მწყაზარი შუქ-მფინარი!

შოთა რუსთაველი (XII საუკ. მწერალი):

თ მარს ვაჭებდეთ მეფესა...
ქერა წარბოა და წამწამთა,
თმათა და ბაგე, კბილისა,
ბრილ-ბალახშისა თლილისა,
მით მიჯრით მიწყობილისა...

არჩილ მეფე (XVII საუკ. მწერალი):

როს თამარ დიდი ხელმწიფე
სულ ხმელთა პირსა ნათობდა,
სხვათა მნათობთა უმჯობე
ეჭესა მრთ ეკამითოდა,
ბრილ-მინა ერთათ შეთხზნილი
გარშემ გიშერი სათოდა,
მძლეველი შორეთ მეფეთა,
დამამხობელი მათოდა,—
იმხედრა უნეს მეფეთას,
ალვირი იპყრა ძლიერად,
მან ტახტი ხელმწიფობისა
შეამკა ხმად მის მიერად,
გაბრწყინვებული გაჲშეენდა
სფერო ულრუბლო აერად,

დაიპყრა შვილივ სამეფო
ლის ამერიკურო იმერად.

ანტონი I, კათალიკოზი (XVIII საუკ.)

ასულთა შორის დავითიანთა თამარ
სოლომონითნი მსგავსებანი ყოველნი
იყოვლისფერნა: მართ წარემატა მდედრი,
შვენიერ ქმნილი შინაგნით და გარეგნით
ქრისტეს ოვისება ქრისტებრივ ამჟა მადლით,
სოლომონითი სიბრძნე აქა ჰპოვა შენ
მისებრ სიმღიდრე სიბრძნის ნაყოფნი მისნი
ქრისტებრ მაღლი, ცეკვულება უფლისა,
შვენიერება გონების მუდავ მზობა
პირელთა თვისთა უმეტესი განპრძობა.
იტყვიან ქველიდ სემირამიდას ვისმე
მეფესა ვისმე ცოლისა ნინის მეფისას,
კვიროსის უმძლევს ალექსანდრეს უდიდესს,
პროპონტოს კიდით მმფლობს კიდეთ ინდიას
შვენიერ, მდიდარს, უმდიდრეს ძლიერებით,
არამედ სხვას ვისმე მდედრას ესგვარ დიდებით
ცოლის ქსერქსისსა, დედასა არტაქსერქსისსა,
ხოლო მცირისა კვალად კვიროსისასა
კვიროს დიდისა საყდრისა დედოფალისა
შვილთა ბბრძანებასა ნებისაებრ თვისისა,
კვალად ეგვიპტის მეფესა კლეოპატრას,
მოხსენებულის იოსიპოსის მიერ,
ძალითა დიდისა, წინააღმდეგომთა მძღესა;
კვალად კესარის დედასა ან ტონისა
გაიოსისა სარაცხსა თქმულთა თანა, —
ესენი, არა ჸუვენის ქმნულთა მსახურთა, —
ესგვარი იყვნენ: ოდენ კვამლებრ ნაცხალი:
გუშინ ჩნდენ და დღეს განქარდენ, დასტრენ

ყოფით,
მაგრა თამარის საქმენი სჩანან ღვთის შორის,
ხოლო ნიადაგ გაგრძელდეს უცვალებელ:
არა დავიწყდეს გარეშემოთა ჩვენთა
ბრძენთა ბერძენთა, სომეხთა, სირთა, სპარსთა;
დიდება მისი საღიძეებელი ღვთისა,
ხოლო ქართველთად არ სამართალ არ-ხსოვნა
საქმეთა ბრძნისა მეფეის თამარისთა.

გრიგოლ ორბელიანი:

ვარსკვლად გვინათს სახე ნაეგლი
თვალნი სიმის გამომაცენნი,
სარო-ტანალი, ნაზად მჩხვევლი,
თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი!
ვითარუა ღმერთი შვენიერების,

ქველმოქმედების, სახიერების
ვით ტრედი მადლის მშვიდი და ჭყნარი, —
ეგრეთ შვენებით მოვალს თამარი
სხივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი
უბყრას დიდებას და სათნოებას;
წინაშე მისისა ძლევა-და მუზნი
განაღილებენ მისისა მეფობას!
მის ღროშა მოსდევს დიდი ორბელი,
შოთა უკვდავი, ბრძენი ჭყონდიდი,
მხედრით-მთავარი დიდი მხარგრძელი
და გამრეკელი ლომებრ გულადი!
თამარის ღროშა გაშალეს...
შეკრბა ღილუბეს ლაშქარი:
კაზი ფარ-შებით, თუში ხმლით,
ფშავ-ხევსუნს ჸუვენის აბჯარი.
მკლავით ძლიერით ქართლელი,
ვით ციხე ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხ-მარდი, მთავალი
ბრძოლაში შეუპოვარი, •
მესის სწავლითა ქებული,
გმირი იმერი ზრდილობით
და მშვილდისნობით აფხაზი,
გურულ-სეან-მეგრი მკვირცხლობით..
თამარი ლოცავს ჯვარითა,
ჯარს ამნენებს გულის უხვობით;
გული მეფისა ზოვა არის,
უსაზღვროება წყალობით.
გალაშქრდენ, მისწვდნენ კარნუსა,
ერთის შეტევით მილეშეს!
ლომებრ მისცვივდნენ სინოპსა,
მის ციხე ზოვაში გარდაგდეს;
განვლეს არეზი, თაერიზი,
ყაფლან ქუ გარდაიარეს
და მტვერი გეოხებისა
ღვთის რისხვად ყაზმინს თავს დასცეს!

რ. ერისთავი:

გარდაიცვალა თამარი,
ჩაესვენა ქართლის მთვარე,
უბედურსა საქართველოს
დღე დაადგა დიალ მწარე:
ერი იგლოვდა შავ დღესა,
დასტიროდა დიდი, მდარე,
ავეღრებდნენ იმის სულსა
და სდიოდათ ცრემლი ცხარე.
გაქრა მთიები მზე თამარ,

მოლათ საქართველოს მფლობელი,
 „რენის-პალოდგან“ შავშეით
 გურგანის, ზღვამდე მშეკრძებელი
 ერთგულთა ჯილდოს მიმცემი,
 ურჩებთა დამამხობელი,
 დედა და მეფე ქართველთა,
 ლაშა-გიორგის მშობელი.
 ქალ-ვაჟი დარჩ, ნეტარსა,
 მეტი არ ესვა შვილები,
 ლაშა-გიორგი, რუსულა —
 ტურფანი, კავალად ზრდილები,
 მათ დაუტევა მოყმენი,
 მასთანვე გამოზდილები,
 ერთგულნი, გამჭრიახენი
 და ჭირში გამოცდილები.
 სამეფო დარჩა ძლიერი,
 კარგებთან დასაღარია,
 ეკლესიერით შემკული
 იყო მთლად მთა და ბარია;
 სასწავლებლებით ბრწყინვალეს
 ჰყვინდა მრავალი ჯარია.
 იმათთა მოპირდაპირეს
 ერთხელც არ გაუხარია!..
 ციხეებით, ქალაქებით
 სამეფო იყო მკობილი,
 ნავთსაყუდელნი გემებით,
 ნავებით გამოწყობილი,
 დიდება თამარ მეფისა
 მეფებს ჰქონდა ცნობილი:
 ზოგნი აძლევდნენ ხარკებსა
 და ზოგი იყო მმობილი.

ს ი ზ გ ა რ ი

ერთხელ მხოლოთ, ისიც ძილში,
 ქართველ ქალთა ვნახე კრება;
 გეფიცებით, მისი ნახვა
 ახლაც ისევ მენატრება!
 ტახტზე იჯდა თამარ მეფე,
 მომხიბლავი, ეშეიანი!..
 მარტინით უდგი თანათინი,
 მარჯვნით — ნესტან-დარეჯანი.
 გარს ეხვიენ სხვა ქალებიც,
 როგორც მთვარეს ვარსკვლავთ კრება,
 ცალ-ცალკე და ცველა ერთად
 სიცოცხლე და ნეტარება!..

შემოვიდა რუსთაველი,
 ის სულ-მნათი და მგოსანი,
 ხელში ეპყრა მოწიწებით
 მისა „ვეფხის-ტყაოსანი“.
 თაყვანი სცა სწორ უბოძის,
 მის წინ მუხლი მოიყარა!..
 გაიღიმა ტახტზე მჯდომაშა
 და ცრემლები გადმოღვარა!..
 მხის ჭიატის დარი იყო
 უცნაური ის ღიმილი
 და ოცით გრძნობის ორჭოფობაც
 ცრემლში იყო ჩალესილი:
 მასაც მგოსნის თანაგრძნობა
 გულში ედვა, როგორც ქალსა,
 მაგრამ უნდა დაეჭირა
 თავი, როგორც დედოფალსა!
 ბრძანა: „გმადლობ, ვერ გადვახდი,
 როგორც მეფე, დღეს შენს ვალსა, —
 უკვდავების მოსახვეჭათ
 მიგაპირებ მომავალსა!..“

მიუბრუნდა მერე იქ მდგომ
 ნესტანსა და თინათინსა:
 — „ოქევრ გილოცავთ ამ ქვეყნიურ
 სიყარულს და შეება-ლხინსა!

„გიანდერძებთ საქმრო ყველა!„
 ტარიელს და ავთანდილსა,
 რომ ქართველი ქართველ გმირათ
 გამ აზრდილეს შეილი-შეილსა!“

ეს რომ ბრძანა, ნათლის სკეტა
 გადმოუშვა ცისარტყელა...
 აიტაცა შუქმა შუქი

და მას გაცყვა თანვე ყველა!..

მე კი დავრჩი... შეშეშინდა!..
 მიმოვალე გარს თვალები
 და რა ვნახე იმათ ნაცვლათ?!

სხვა ხალხი და სხვა ქალები!!

არც თამარი, არც თინათინ,
 ალარც ნესტან-დარეჯანი!..
 ალარც ერთს არ ეტყობოდა
 ქართველობის რამ ნიშანი!..

გული დამწყდა!.. გამელვიძა,
 ნაღვლინთ გამეცინა!..
 ვთქვი: ანეტავი არ მენახა,
 საუკუნოთ დამეძინა!..“

—

თ ბ ა ტ რ ი

ხალხური შემოქმედებით *

თამარ მეფის აღდენი

(ნუსა იხ. წიგნაკში: „უსაქართველოს ქელი დროის თავგადასავალი.“ გამოცემა დეკ. ღამბაშიძის. ქ. 1897 წ.)
ანდერძი ნახეს მეფისა თამარის დატყვებული:
ჰქმენთო სამნი კუბონი თყვალ-თქრთ განშევენ-
ბული,
ერთი დამარტეო მცხეთასა, ერთი ვარძიას დე-
ბული,
მე დამშარსეთო გეღარძი, არ მუდნ თათართა გნე-
ბული.

სულთან ნუჯარდინს ჯავრი შვირდა თა-
მარის. შემოსთვალა:
ოდეს მაკედება მეფეო, ქართველთა წინაშედვარა,
მაშინ წაგალი: სულტანმა აათხრო ქართველთ
ზღვარია!
სადაც დამარტენ მეფესა, უქმნა მის საფლავს
ძერჩნა,
ცოცხალს გერ უგავ რაც მწარდა, მშედარსა გედო
შენასვარია!
მოქამა ესე ამბავი მეფეს ცოცხალსევ სვიანია.
ოყიოთა ჰქედაგდა თვის შეიძლია თვისებ გერ განტე-
ბიანია:
„ჩემს უპან ნე თუ სულტანისა თმი გერ უქმნან
ხლიანია!
იქნება ბილუმან, რაც უთქამს, მიქმნას მე გვირ-
გვინანია!“
ამის ფიქრითა უბრძანა მათ გუბოთ გაბეთებანი:
„სამს ალაგს დაჭიდალთ შორი-შორ, გერ მიქმნან
ცემხლის გზებანი!“

მეის ადამიულეს ბრძანება და ჰევეს მეფისა ნე-
ბია:
ერთი მუნ დაფლეს, ერთი მუნ: „მტერთ გერ ჰქმ-
ნან მეფის ძებნიანი!“
ავით დაწერა შეფეხს თვისის სედითან ნაწერი,
სამთავე საფლავის ქვაზე ესე შეაფით ნაწერი,
აქ ქვაზ შირქე დასდევით, საფლავს გერ ნახონ
ნაწერი.

თამარ მეფის თქმული
რას ნეჭარმაგეს მეფენი შეიღნივე შურად დამე-
სნეს,

*) ამღებულია ისტ. მ. ჯანაშვილის ხელ თა-
წერ თხზულებიდან „თამარ მეფე“.

უზილბაშ, ასმალ-არაბი საუდევართა გარეთ გა-
მესხენს,
საზართა თეგზენი ბევრ რიგი იგერთხ წევალში
შთამესხენს
ამა საქმისა ხელქმნელსა, აწ მეღავნი გულსა და-
მესხენს!

თამარ მეფე და ხონთქარი
მალალმა ლმერთმ წაპკილა...
ზღვაში ჩაუშო ხომალდი,
ზედ ალმასები დაპკილა,
ზედ დასხა ქართველთ ლაშქარი,
მრავალს წყალობას დაპკილდა...

თამარ დედოფალი ვიყავ
ქებული კილის კიდემდე...
ზღვაში ჩაუშო ხომალდი,
ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე,
არზრუმსა დავდე ბეგარა,
ისპანს ხარჯი აერდე.
ამდენის საქმის მოქმედმან
ცხრა ადლი ტილო წავილე..

უბისს ავაგე საყდარი,
უწყლოსა წყალი ვადინე,
ისპანს დავსლევ ბეგარა,
სტამბოლს ხარჯა აეილე,
თეთრს ზღვაში რკინა ჩავაგდე,
ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე.
ამდენის საქმის მოქმედმან
ცხრა ადლი ტილო წავილე.

თ ა მ ა რ ი

(დელად ქობულეთელ ქაროველ მაჭადიან ბექანიძისა-
გან გამოთქმული.—ამღებულია ზ. კიბინაძის წიგნიდან)

„ათასი კაბა ყმა მყვანდა,
ყველანი ოქროს ღილითა,
ვაკემევდი ღედალ ხოხობსა,
ვასომდი ბროლის კიქითა,
ვინც რომ შემება შევები
ალალითა და ჯიქითა,
აწი თქვენ იცით, მეფენო,
ვინც დარჩეთ ამა იქითა...“

რედა „ტორ-გამომცემელი ანნა იმედაშეილისა

(სავარისტი)

თამარ დედოფალ შობრძანდა.
თხემს ეხურა ზური,
ყურებს ჰქონდა საყურე,
თვალები ჰქონდა იაკინთის,
კბილები ჰქონდა მარგალიტის
ღაწვები ჰქონდა ბრწყინვალე
ყელზე ება იაშმი,
გარე ეცვა აბჯარი,
შეგნით — ატლასი,
მხედებს სამხედები
წეივებს საწივეები,
ფეხთ ემოსა წულები,
ცხენს იჯდა ქვიშა-ფერს,
უნაგირი მოქედილი
მყირი ოქრო,
საძუედ ჰქონდა კაპარი,
აღვირდ ოქროს ჯაჭვი,
საგულედ ოქროს ბუზტები.

სარეცელის სწმინდე

(გადმოცემა)

თამარ მეფის შესახებ მე შევკრიბე სხვა და სხვა ზეპირ-თქმულებანი. უმთავრესად ყურალება მიგპყარ სამცე-საათაბაგოს ქართველ მამადანინებსა და ისეთში დაჩინილ ამბებს. მრავალ ამბაჭთა შორის გარწყელებულის შემდეგი გარდმოცემაც, რაც ჩემ მიერ დაძებ-დილ წიგნებშიც არის ანგესული.

დაეთ სოსლანის ხელში, მეორო შეიძლია მიცე-მის შემდეგ, თამარ მეფემ ისურვა თვისი სარეცელის ხელშესხებლად დატოვება. ამ გარემოებამ გამოიწვია თამარის და დაეთ სოსლანის გაზვება; გაყრა კი არა, არამედ ურთიერთ ჩამოშორება. ამის საფუძვლათ დე-დაფალს აი რა უთქვაშ დაეითისოთვის:

„რაც ჩვენის დავახისა და ტახტისათვის საკირო იყო, მე ის მივეც ჩემს იჯახს და ქვეანს, აშირომ დღეს შემდეგ სარეცელი ჩემი თავისუფალი უნდა იქ-მნეს!“

დაეკითხაც შეისმინა დედოფლის წინადაღება და მის შემდეგ თამარს შეილო აღარც მისცემია. ამას ჩომ ჩვენი მატიანეც ასვევ ასაბუთებს.

ზ. ჭ.

ნ ვ ა ი ლ ი პ ა რ ე ბ ი

◆ თამარისა დღეს, 1 მაისს, გადაზღიულ იქ-ნება საქართველოს სხვა და სხვა კუთხში.

◆ თამარისა აღსანიშვნად ჩათვალ ჩალთა საზ. „განათლების“ თაოსნობით დღეს, 1 მა-ისს, დილით დიდუბის ტაძრში გადაიზიან წირვა-

პარმელისს, ხოლო შუალისას სახაზინო თეატრში გა-იმართება ზეიმი.

◆ ამ ნომრისთვის საგანგმებოდ მომზადებული წერილები: 1) თ. ერანისას „ამრიცლები და ქართველი ქალები მელად და ახლა“, 2) ზ. გიგინა-ძის „ლაზისტანი“, 3) ერმალოს კანის „თამარის საფ-ლავი სად არის“ და სხ. შემდეგი ნომრისთვის გადა-იღო. ამავე ნომერში ეკრ მოთავსდა თამარის შესახებ ხალცში გავრცელებული ლეგენდა-გალმოცემანი.

◆ ჩაღიან განაცხახება გვარებს მახლობელ დროში გამოვცეთ „თეატრი და ცოლების“ საგანგმე-ბო ნომერი „ქართველი ქალი“, ამიტომ ისტორიულ-ნინო, შეზანიკა, ქვეთვან და სხ.) თუ თანამედროვე მოღაწე ქალთა დახასიათება-სურათები და ქალთა შე-სახები წერილები იმ ნომერში დაიბეჭდება.

◆ თამარის საგანგმებო ნომრის გამოცემის გამო მორიგი მასალა შემდეგისთვის გადიღო, აგრძელვე შემდეგ გამოვა შექსპრისა და სერვანტესის სახსოვარი ნომერი.

◆ ჩაღიანის კლაში დღეს გამართება თა-მარ მეფის სახეობო სალამი.

◆ „გვივი ჩალაშული ანუ უბედურ ზედამიზე“, ღრ. 1 მოქ. ამ ნომერში ეკრან დაიბეჭდა.

◆ ღ. ჩიხარაზის თეატრში დღეს, 1 მაისს, გამართება თამარის სალამ (სიტყვა, წარმოდგენა, ცხოველი სურათები, სიმღერა-ლექსები).

◆ „ზ. თამარ გვივი“, წიგნაკი—ქართველ მამადანთა და სხვათა ზეპირის ცნობებით. შეკრები-ლი ზ. გიგანაძის მიერ, მეოთხე გამოცემა, 48 გვ., იურათის 10 კ. იყიდება. ეს წიგნაკი რუსულადაც გა-დითარგმნა.

◆ ღ. ჩაღიანის კვირას, 1 მაისს, ხაშურის ქართული დრამ წრე მართავს თამარის დღესასწაული. პროგრამა: შესავალი; რეფერატი თამარის ცხოველები-დან; პიესა და ლიეტორისმერტი; ცხოველი სურათები და საკონცერტო განყოფილება.

სალაში ქართველ ქალ!

სამშობლი მხატვეს მომორებული უცხოეთში მყოფი ქართველი ახალგაზღობა სალამის უძღვნით ქარ-თველ ქალ და ულოცებულ თამარის დღეს, ამ ქართ-ველ ქალთა დღესასწაულის დღეს.

სულით და გულით უსურვებთ მათ, რომ ქართ-ველ ქალს მუდამ სიწმიდის და სიფაქტის გებლებას დღესაც შეურცენლად ეტრიალების. სიწმიდის დრო-ში და ერთ დროს მოლიანი და დღეს განახვებულ საქართველოსათვის გამოეხარის ლირსეული შეილ-ნი. დე! ეს დღე პირველი მაისი, დღე თამარისა, იყოს ქართველ ქალთა სადღესასწაულო დღე და ნი-ნოს, ქვეევანის და თამარის სახელი კოტილიოს მათ-ვეის—გზის მაჩვენებელი სამშობლოსათვის თავდად-ბულობისა. მაში გამარჯვება ქართველთ ქალ!

ხარკოვში მყოფ ქართველ ქალთა და ვაჟთა ერ-თი ჯგუფის მონღლობილებით ი. კ—ი.

„კარლი კლუბი“

მოთი ეპისტოლის პროგრამა 1—7 მაის.



ორგაზათი — სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკ.

საზოგადო — საოჯახო სალამ; ორკესტრი

ორგაზათი — სინემატოგრაფი, სიმებიანი ორ.

ხუთშაბათი. — ქართული წარმოდგენია (უფასოდ);

პაპა. კ. სინემატოგრაფი, ორკესტრი.

შაბათი — ოპერეტი.

კვირა — კლუბი გადავა საზოგადოლო ბინაზე.

საზოგადო — საღილი ხელის მოწყერით.

საზანდარი; ორკესტრი; სინემატოგრაფი.

ჯასაზებისი: კუნცერტებისა სალამ. 9 საათ.,

წარმოდგენისა და სინემატოგრაფ. სალ. 8 ს.

შესავალები ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ

სამშებათს და შაბათს ინდიან: მანდილოს-

ნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ.

მანაფებია 1—05 კ.



„განკარლი ება“ უკრაინა-გაზეთების

კანტორი

შე. თბილისში ოლდას-ქეთა № 6.

ებზენებია განკარლები: „თეატრი და მხატვა“, „თბილისი“, „ემს“, „მთხვეთი“, „საქართველოს კულტურული“, „თიფლისკის ლისტოკი“, „Русское Слово“, „ჭარიაზენი“, კედლის კარგებელები და სს. და სს. ქართული წიგნები. ფული და წერილები გრძელ გამოცემას შემდეგი ადრესი: თიფლისი, პოსტონი ქართველი სამარხი № 96, ს. თავართკილაძე.

ლ. იმედაშვილი

ორშაბათს, 2 მაისს, სახალხო სახლში შეასრულებს
პატიონის როლს.

საზაფრო საცლა

ორშაბათს, 2 მაისს, 1916 წ. ქარ. ჭურაშვ.

დასის მიერ ალ. იმედაშვილის თასნობით

წარმოდგენილი იქნება:

კარლი ეტი

ტრაგედია 5 მოქ. უ. შექსპირისა, თარგ. ი. მანაძლისა

მონაწილეობას მიიღებენ: დავითაშვილი ნ.

ქიქმე ანგრი ბერინიშვილი ს. აბაშიძე ვ. გუ-

ნია ვალ. გომელიაური შავ. თარიალი შვილი ი.

იმედაშვილი ლ. იშხნელი გ. ზარდალიშვი-

ლი ი. მამუკაშვილი ილ. ხარაული მ. გვარეძენ.

გელეგანოვი. გ. გორგარიძე ვ. კორიშვილი.

დასავერის სალ. 8 საათზე

დღიულების ფასი 15 კ. დან 1 მ. 50 კ. მდე

ნაქალადევის თეატრი

კვირას 1 მაისს

ნაძალოდევის სცენის მოყვარეთა და მსახიობ
გ. იშხნელის მონაწ. წარმოდგენილი იქნება

დღენი ჩვენი ცხოვრებისა

სტუდ. ქართვ. 4 მაეს. ანდრევისა

მონაწილეობები: მარტინაშვილი, ს. ბობაშვილი,
გამიაშვილი, ბერძნიშვილი, მარ. შეიძლი,
ნარ. გ. იშხნელი, გაბინაშვილი, კუდუსიშვილი,
სერაძე, ძაბაძე, ბოგაშვილი, ლალაშვი-
ლი, კადეტეკა, შევიძელი, ჩხერი, ბერძნიშვი-
ლი, მაჭაგარიანი და სს.

დასავერის ხალაშობს 8 ს.

დღიულების ფასი 20 კა. 40 კა.

მობიტი გამგე შეტეხდოვა.

რეკლამი ს. გობაშვილი.